


შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით
დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები

Planned and implemented activities to promote social development

წინასიტყვაობა

1. **შემუშავებულია** - ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძე; განათლების ხარისხის სპეციალისტი ლია ფარტენაძე; საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის ლიზა ამილახვარის და პრორექტორი ბადრი დოლონაძის მიერ;
2. **დამტკიცებულია** - შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2020 წლის 03 ივლისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N15);
3. **შედის მოქმედების ვადაში** – დამტკიცების მომენტიდან;
4. **პერიოდული შემოწმება** – წარმოებს შემუშავებლის მიერ, ინტერვალით, რომელიც არ აღემატება 12 თვეს;
5. **ცვლილებები** - შემუშავდება ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების ცვლილებებისას, რომლის საფუძველზეც შემუშავდა არსებული დებულება.




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით
დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები

Planned and implemented activities to promote social development

შინაარსი

1. გავრცელების სფერო	4
2. ნორმატიული მითითებები	4
3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები.....	4
4. ზოგადი დებულება.....	4
5. საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით განხორციელებული აქტივობები	5
6. საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები.....	9
7. კონფიდენციალურობა	11
8. პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი	12
9. პერსონალის ანალიზთან გაცნობის ფურცელი	13
10. შეთანხმების ფურცელი	14



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით
დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები

Planned and implemented activities to promote social development

1. გავრცელების სფერო

- 1) წინამდებარე ნორმატიული დოკუმენტი განსაზღვრავს საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით ბუსსს ანრის მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ აქტივობებს.
- 2) დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლარი ინახება ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც ელექტრონული ასევე მყარი ვერსია), ელექტრონული ვერსია განთავსებულია სასწავლებლის შიდა ქსელში და ვებგვერდზე.

2. ნორმატიული მითითებები

წინამდებარე დოკუმენტის შემუშავების დროს გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:

- 1) სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
- 2) სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
- 3) საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
- 4) საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
- 5) საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
- 6) საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
- 7) უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები
- 8) პროფესიული სასწავლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები
- 9) აკრედიტაციის სტანდარტები;
- 10) ნდ № 2-010101 -წესდება;
- 11) ნდ № 2-0201-01 ნდ 2-0201-01- დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

არსებულ დებულებაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები:

3.1 ტერმინები, განმარტებები

- 1) **ნორმატიული დოკუმენტი**, რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს გარკვეული მოდვაწობის სფეროსათვის.
- 2) **პერიოდული შემოწმება** არის ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;
- 3) **კონფიდენციალურობა** - საიდუმლო ან განდობილი ინფორმაციის შენახვა-გაუმჟღავნებლობა, რაც განისაზღვრება სათანადო მოქმედი დოკუმენტით.
შენიშვნა: კონფიდენციალურობის დარღვევა ისჯება მოქმედი კანონდებლობის და სხვა რეგლამენტირებული აქტებით.


3.2 შემოკლებები

- 1) **ბუსსს ანრი** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი (ტექსტში ასევე შეიძლება შეგვხდეს, როგორც **სასწავლებელი**)
- 2) **ნდ** - ნორმატიული დოკუმენტი
- 3) **ISO** - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

4. ზოგადი დებულება

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის (ბუსსს ანრი) სიღრმისეულად აქვს გააზრებული განათლების როლი საზოგადოების განვითარებაში. საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებია:

- ❖ სოციალური აქტივობები,
- ❖ კულტურული ღონისძიებები,



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით
დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები

Planned and implemented activities to promote social development

❖ გარემოსდაცვითი აქტივობები და სხვა.

ბუსსს ანრის მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საზოგადოებრივ საქმიანობაში, რომელიც თავის მხრივ თანამონაწილეობითი პროცესია.

სასწავლებელში დაგროვილი ცოდნის ფართო საზოგადოებისათვის გაზიარების პროცესი წარმოადგენს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელების ხელისშეწყობის პოლიტიკას. რაშიც, თავის მხრივ, მოიაზრება საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი თემების განხილვასა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობ ღონისძიებებში მონაწილეობა. პროცესი გულისხმობს სასწავლებლის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციის და ასევე, სტუდენტთა ჩართულობას საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებში მუდმივად განვითარებადი თანამედროვეობის კვალდაკვალ.

ბუსსს ანრი იზიარებს აზრს, რომ ცოდნა უნდა გამოიყენებოდეს საზოგადოების სამსახურში უკეთესი მომავლის შესაქმნელად. მთავარი კონტრიბუცია, რაც სასწავლებელს საზოგადოების განვითარებაში შეაქვს – ეს არის საუკეთესოდ მომზადებული, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სტუდენტი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე საგანმანათლებლო სფეროსათვის აუცილებელი ცოდნითა და უნარებით და მზად არის კონკურენტულ გარემოში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად. ამავდროულად, სასწავლებლის მთელი პერსონალი, როგორც აკადემიური და მოწვეული პროფესორა, ასევე ადმინისტრაცია, ორიენტირებულია სასწავლებლის სტუდენტების პიროვნული განვითარების ხელშეწყობაზე და მათ შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაზე, რომელიც სწავლებისა და შეთავაზებული შესაბამისი მაღალი სტანდარტით უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას და საბოლოო ჯამში, უვითარებს მნიშვნელოვან ღირებულებებსა და ფასეულობებს.

საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გაზიარების მიზნით სასწავლებელი მუდმივ რეჟიმში გეგმავდა, გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას. ბუსსს ანრი სხვადასხვა დროს მონაწილეობდა და მონაწილეობს საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი თემების განხილვაში. სასარგებლო საქმიანობისათვის სასწავლებელი ახდენს საკუთარი რესურსის რეალიზებას.

5. საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით ბუსსს ანრის მიერ განხორციელებული აქტივობები

➤ 2018 წელი

- ✓ 2018 წლის 16 მაისს - სტუდენტებისა და სასწავლებლის პერსონალის ჩართულობით განხორციელდა გარემოსდაცვითი ღონისძიება - სასწავლებლის მიმდებარე ტერიტორიაზე სანაპიროსა და ბუსსს ანრის პერსონალისა და სტუდენტების მიერ გაშენებული მეზღვაურთა ხეივანის დასუფთავება.
- ✓ 2018 წლის 1-4 ივნისს გაიმართა კერძო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა შეხვედრა ბუსსს ანრიში. ამ შეკრებაზე სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებმა განსახილველად წარმოადგინა პროექტი სახელწოდებით - „სტუდენტები მომავლისათვის“. პროექტის მიზანი იყო კერძო უმაღლესი სასწავლებლების დამეგობრება, ინტერესებისა და გამოცდილების გაზიარება. დაიგეგმა ხანგრძლივი მასშტაბური სტუდენტური აქტივობები.
- ✓ 2018 წლის 4 ოქტომბერს გაიმართა საზეიმო ფიცის მიღება პირველკურსელთათვის. ამასთან დაკავშირებით დაიგეგმა სხვადასხვა ღონისძიება, რომელიც თავის მხრივ, მიმართული იყო საზღვაო დარგისა და მეზღვაურის პროფესიის პოპულარიზაციაზე, სადაც ჩართული იყო სასწავლებლის სტუდენტები და პერსონალი. ღონისძიებას ესწრებოდა სასწავლებლის ადმინისტრაცია, პერსონალი და მოწვეული სტუმრები, ქალაქ ბათუმის მერიის წამომადგენლები და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელობა. მოეწყო ღია კარის დღე, სტუდენტებმა მოსულ სტუმრებს დაათვალიერებინეს სასწავლებლის შენობა, სადაც პრეზენტაციის სახით წარადგინეს სასწავლო სიმულატორები და სხვა სასწავლო ინვენტარი.




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით
დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები

Planned and implemented activities to promote social development

➤ 2019 წელი

- ✓ **2019 წლის 5 მარტს** შპს ბუსსს ანრიში შედგა შეხვედრა ანრის ლექტორებს, სტუდენტებსა და თანამშრომლებთან შორეული ნაოსნობის კაპიტან (IMOამბასადორი საქართველოში) ნუგზარ ბოლქვაძესთან, ღონისძიება ჩატარდა სასწავლებლის საკონფერენციო დარბაზში. შეხვედრის თემა აქტუალური და მნიშვნელოვანი - „საზღვაო უსაფრთხოება“ იყო. აღნიშნულ ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალი იყო, რაც ემსახურებოდა დაინტერესებულ საზოგადოებისთვის უსაფრთხო ნაოსნობის შესახებ ცოდნის გაზიარებას.
- ✓ **2019 წლის 26 მარტს** ბუსსს ანრის საკონფერენციო დარბაზში შედგა შეხვედრა სასწავლებლის მოქმედ მეზღვაურებთან. ანზორ შარაშიძეთან- კაპიტანის უფროსი თანაშემწე და სასწავლებლის კურსდამთავრებულ გივი ბალაძესთან. შეხვედრას ესწრებოდნენ, როგორც ბუსსს ანრის სტუდენტები, ასევე სხვა დაინტერესებული პირებიც. ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალი იყო, რათა აჭარის მცხოვრებლებს, ნაოსნობით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ქონოდათ მოესმინათ მეზღვაურების გამოსვლა, მათი გამოცდილება, სირთულეები, რაც ახლავს მეზღვაურის პროფესიას.
- ✓ **2019 წლის 16 მაისს** კრედო ბანკის წარმომადგენლები პრეზენტაციით წარდგა ბუსსს ანრის სტუდენტებთან, სადაც შესთავაზეს შეღავათიანი სტუდენტურ სესხები და სხვა საინტერესო აქტივობები.
- ✓ **2019 წლის 23 მაისს** ბუსსს ანრიში გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე - „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“. სტუდენტებთან ისაუბრა აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველმა, სამართლის დოქტორმა, ასისტენტ პროფესორმა ლაშა ხოზრევანიძემ, თემის აქტუალობამ საინტერესო დისკუსია გამოიწვია.
- ✓ **2019 წლის 25 მაისს** სასწავლებელში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. იქედან გამომდინარე, რომ 26 მაისი დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი სახელმწიფო დღესასწაულია. ღონისძიება დაიწყო პირადი შემადგენლობის მოწყობით, სასწავლებლის დროშის გამოტანით, რაც სტუდენტებისა და დამსწრე პირების მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას და მათში დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას ემსახურება.
- ✓ **2019 წლის 7 ივნისს** (ოკეანის საერთაშორისო დღეს) სტუდენტებისა და სასწავლებლის პერსონალის ჩართულობით, დასუფთავდა სანაპირო სასწავლებლის მიმდებარე ტერიტორიაზე და ბუსსს ანრის პერსონალისა და სტუდენტების მიერ გაშენებული მეზღვაურთა ხეივანი.
- ✓ **2019 წლის 8 ივნისს** ბუსსს ანრიში გაიმართა ოკეანის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია თემაზე: - „წყალი და ადამიანი“, სადაც მონაწილეობა მიიღო ბუსსს ანრის, ასევე ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის და ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა. ასევე კონფერენციას ესწრებოდა ბათუმის მერიის, შპს ბათუმის წყალის, ქალაქის დასუფთავების სამსახურის, ბათუმის პორტის წარმომადგენლები. კონფერენციაზე განიხილეს 21 საუკუნის გამოწვევები მსოფლიო ოკეანის ჯანმრთელი ეკო-სისტემის შენარჩუნების თვალსაზრისით. ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართული სტუდენტები, მათ შორის, ღონისძიების ერთ-ერთი მოდერატორი სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი იყო.
- ✓ **2019 წლის 25 ივნისს** - გაიმართა მეზღვაურთა დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონია, რასაც ეწრებოდა საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი. ღონისძიება გაიმართა ბათუმის ბულვარის ცენტრალურ შესასვლელთან. ცერემონიის დაწყებამდე ჩატარდა მარში/მსვლელობა ბათუმის ქუჩებში რომელშიც ჩართული იქნა ბუსსს ანრის ყველა კურსის სტუდენტი. ცერემონიაზე დასახელდა და დაჯილდოვდა წარჩინებული და აქტიური სტუდენტები.
- ✓ **2019 წლის 24 ოქტომბერს** ბუსსს ანრიში გაიმართა სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის, საზოგადოებრივი მათემატიკის პროექტ "ეტალონის" ავტორის - გოჩა ტყემელაშვილის საჯარო ლექცია



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით
დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები**

Planned and implemented activities to promote social development

თემაზე „თანამედროვე განათლების როლი 21-ე საუკუნეში“. ლექცია მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. მსვლელობისას ბატონმა გოჩამ მოისმინა სტუდენტების მიზნები და სამომავლო გეგმები,

- ✓ **2019 წლის 26 ნოემბერს** ბუსსს ანრიში გაიმართა საკრუინგო კომპანია Geo-Line Navigation-ის წარმომადგენლის კაპიტან რაულ ბერიძის შეხვედრა სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. შეხვედრაზე ისაუბრეს იმის შესახებ, თუ რა პოლიტიკას ანხორციელებს კომპანია და რა გეგმები აქვს სამომავლოდ კატედეგისთვის, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი პრაქტიკა შორეულ ნაოსნობაში. შეხვედრის მიზანი იყო აღნიშნულ კომპანიაში დასაქმების სურვილის მქონე პირების ინფორმირება და პოტენციური დასაქმება.
- ✓ **2019 წლის 29 ნოემბერს** ბუსსს ანრის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საჯარო ლექცია პროექტის: "საზღვაო ნარჩენების მართვა საქართველოში" ფარგლებში. საჯარო ლექციას უძღვებოდნენ შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორები ნარგულ ასანიძე და გუგული დუმბაძე. ასევე გაიმართა გარემოს დაცვის სააგენტოს EMBLAS plus მიერ შემუშავებული მობილური აპლიკაციის MarineLitterWatch პრეზენტაცია. შეხვედრაზე განხილული იყო ისეთი აქტუალური საკითხები როგორცაა: გარემოს დაბინძურება და დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილი აქტივობები. ნაგავსაყრელების ზემოქმედება გარემოზე - რა უნდა გააკეთოს ადამიანმა გარემოს შესანარჩუნებლად.
- ✓ **2019 წლის 2 დეკემბერს** - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენლებმა ზვიად ბოლქვაძემ და დავით ჯინჭარაძემ გამართეს საჯარო ლექცია სახელწოდებით: "საბაზო კონვენციური მომზადება" , სადაც განიხილეს ზოგადი საზღვაო კონვენციები, საუბარი იყო საზღვაო კონვენციების როლზე უსაფრთხო ნაოსნობაში. ასევე ისაუბრეს IMO-ს (International Maritime Organization) საქმიანობის შესახებ.
- ✓ **2019 წლის 18 დეკემბერს** ბუსსს ანრისა და „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ ინიციატივით გაიმართა კონფერენცია თემაზე: "ნატო ევროკავშირი და საქართველო", სადაც მონაწილეობდნენ ბუსსს ანრის სტუდენტები, პერსონალი საზღვაო ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები. კონფერენცია მიზნად ისახავდა ცნობიერების ამაღლებას ნატოს ევროკავშირისა და საქართველოს მჭიდროდ თანამშრომლობის შესახებ, აგრეთვე იმას, რომ საქართველო დგას ნატოსა და ევროკავშირისაკენ მიმავალ სწორ გზაზე, რაც სწორად, გასაგებად და ვრცლად წარმოადგინა კონფერენციის მონაწილეებმა.

➤ 2020 წელი

- ✓ **2020 წლის 20 იანვარს** ნენე კვინიკაძემ და რატი ამალაბელომ გამართეს საჯარო ლექცია "ევროპა - საქართველოს ტრადიციული არჩევანი". შეხვედრაზე ისაუბრეს რატომაა ევროპაში ინტეგრაცია მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის და რა ნაბიჯები იდგმება ევროპული ინტეგრაციისთვის საქართველოს მხრიდან.
- ✓ **2020 წლის 24 აპრილს** - ბუსსს ანრის საქველმოქმედო აქცია; სასწავლებლის ხელმძღვანელობამ ქველმოქმედების ფარგლებში, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გულების მოსახლეობას სასოფლო სამეურნეო საჭიროებისათვის უსასყიდოლოდ გადასცა სასუქი.
- ✓ **2020 წლის 28 აპრილს** - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის სტუდენტებისათვის გაიმართა ონლაინ საჯარო ლექცია თემაზე: "დღევანდელი მდგომარეობა გემებზე და Training Record Book-ის წარმოება". საჯარო ლექციას უძღვებოდა კაპიტანი, (IMOამბასადორი საქართველოში) ბატონი ნუგზარ ბოლქვაძე. ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალი იყო, ნაოსნობით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ქონდათ მოესმინათ და გაეზიარებინათ მოქმედი კაპიტნის გამოცდილება. შეხვედრა შედგა ზუმის აპლიკაციის საშუალებით.
- ✓ **2020 წლის 2 ივნისს** გაიმართა ონლაინ საჯარო ლექცია „პოსტპანდემიის მეცნიერება და ონლაინ სწავლება“. შეხვედრას უძღვებოდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით
დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები

Planned and implemented activities to promote social development

ფონდის გენერალური დირექტორი - ბატონი ზვიად გაბისონია. საჯარო ლექციაზე ფართოდ იქნა განხილული ღონისძიებები, რომელიც გაატარა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდმა კორონა ვირუსთან საბრძოლველად, ასევე საუბარი იყო სამეცნიერო ნაშრომების დაფინანსების შესახებ, ფსიქოლოგიური და სხვა ასპექტები და მათი დაძლევის გზები/საშუალებები. საუბარი შეეხებოდა პოსტკანდემიური პერიოდის საფრთხეებს და მათი განეიტრალების მექანიზმებს. შეხვედრაზე დასწრება თავისუფალი იყო, შეხვედრას ესწრებოდა როგორც ბუსსს ანრის სტუდენტები და პერსონალი, ასევე სხვა დაინტერესებული პირები.

- ✓ **2020 წლის 17 ივნისს** ბუსსს ანრის სტუდენტებისთვის და თანამშრომლებისათვის გაიმართა ონლაინ საჯარო ლექცია: "ასოცირების ხელშეკრულების 6 წელი". შეხვედრას უძღვებოდნენ: საინფორმაციო ცენტრ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ბათუმის ბიუროს წარმომადგენელი - ირმა გაბინაშვილი და საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ გურიის ბიუროს წარმომადგენელი სამსონ სიამაშვილი. საჯარო ლექცია გაიმართა „ევროპის დღეები 2020“ - ის ფარგლებში, სადაც განხილული იყო საქართველო ევროკავშირის შორის არსებული ურთიერთობები, ასოცირების ხელშეკრულების მიერ ნაკისრი ვალდებულებები და სხვა.
- ✓ **2020 წლის 20 ივნისს** ბუსსს ანრის ორგანიზებით გაიმართა ონლაინ საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „უცხო ენის მნიშვნელობა სხვადასხვა პროფესიაში“. კონფერენციაზე მოხსენებით წარდგინდა როგორც ბუსსს ანრის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, ასევე ქართული და უცხო ქვეყნის 15-მდე უნივერსიტეტის პროფესორი, ლექტორი და სტუდენტი. მათ შორის უკრაინის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, მოლდოვის, რუმინეთის და ინდოეთის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლები.
- ✓ **2020 წლის 23 ივნისს** მეზღვაურთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ონლაინ ღონისძიება, სადაც ფულადი ჯილდო გადაეცათ ბუსსს ანრიში დაარსების დღიდან დღემდე მოღვაწე პერსონალს, სასწავლებლის უხუცეს თანამშრომლებს; მადლობის სიგელები გადაეცათ ბუსსს ანრის ლექტორ მასწავლებლებს, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩრთულნი სასწავლო პროცესში და დაჯილდოვდა აქტიური და წარმატებული სტუდენტები.
- ✓ **2020 წლის 14 ივლისს** ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის სტუდენტებისათვის და აკადემიური პერსონალისათვის გაიმართა ონლაინ საჯარო ლექცია თემაზე: „კომუნიკაციის ფსიქოლოგია“. ონლაინ შეხვედრას უძღვებოდა სოციალური ინკლუზიის, განათლების და საზოგადოების განვითარების ექსპერტი, ფექტური კომუნიკაციის, ადამიანის უფლებათა ღია საერთაშორისო უნივერსიტეტის "უკრაინა" დირექტორის მოადგილე სვეტლანა ილინიჩი.
- ✓ **2020 წლის 7 აგვისტოს** ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის თანამშრომლებისთვის და სტუდენტებისთვის და სხვა დაინტერესებულ პირთათვის გაიმართა ონლაინ საჯარო ლექცია თემაზე: "ადამიანის უფლებების დილემა, სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებები." შეხვედრას უძღვებოდა სოციალური მეცნიერებების დოქტორი პოლიტიკის მეცნიერების დარგში ხათუნა ჩაფიჩაძე. შეხვედრაზე განხილული იყო: საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებათა დილემები. ადამიანის უფლებები და ეთიკური დილემები. ასევე გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული კანონი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ და ადამიანის უფლებების დილემა, სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების შესახებ.
- ✓ **2020 წლის 13 აგვისტოს** გაიმართა ონლაინ სემინარი თემაზე: „ღია განათლება და ღია საგანმანათლებლო რესურსები ინოვაციურ პედაგოგიკაში“, სემინარზე განხილული იყო: განათლების თანამედროვე გამოწვევები. ციფრული რევოლუცია. სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები. ღია განათლების დადებითი მხარეები ღია საგანმანათლებლო რესურსები.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით
დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები

Planned and implemented activities to promote social development

6. საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით ბუსსს ანრის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები:

➤ 2020 წელი

- ✓ 2020 წლის 20 სექტემბერს ბუსსს ანრის სტუდენტებისთვის/პროფესიული სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის გაიმართება ბუსსს ანრის ასისტენტ პროფესორის ანზორ შარაშიძის საჯარო ლექცია თემაზე - „მეზღვაურის პროფესია“.
- ✓ 2020 წლის წლის 5 ოქტომბერს - გაიმართება საზეიმო ფიცის მიღება კურსელთათვის. ამასთან დაკავშირებით დაიგეგმა საქველმოქმედო ღონისძიებები, რომელშიც ჩართული იქნება სასწავლებლის სტუდენტები და პერსონალი.
- ✓ 2020 წლის წლის დეკემბერში ბუსსს ანრის პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის/პროფესიული სტუდენტებისთვის ეკატერინე ლომიას ონლაინ საჯარო ლექცია „ახალი მსოფლიოს დღის წესრიგი“
- ✓ 2020 წლის 20 დეკემბრიდან - ბუსსს ანრის ორგანიზებით სასწავლებლის პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით საახალწლო განწყობის შესაქმნელად გაიმართება წამახალისებელი ღონისძიებები სიმბოლური საჩუქრებით, ასევე საქველმოქმედო ღონისძიებები (მარტოხელა პენსიონერი მეზრვაურების მონახულება).

➤ 2021 წელი

- ✓ 2021 წლის მარტში დაგეგმილია დეკანოზ თეოდორ გიგნაძის ონლაინ საჯარო ლექცია. დასწრება შეეძლება ნებისმიერ მსურველს.
- ✓ 2021 წლის აპრილში გაიმართება:
 - 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება, მემორიალის გვირგვინით შემკობა და ზღვაში გვირგვინის ჩაშვება.
 - გაიმართება ონლაინ ღია საჯარო ლექცია „საჯარო მმართველობა“. შეხვედრას გაუძღვება საჯარო მმართველობის დოქტორი, გრ. რობაქიძის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის ასოცირებული პროფესორი ხათუნა მურადიშვილი.
- ✓ 2021 წლის მაისში გაიმართება:
 - ფაზიზზე გამარჯვების დღესთან მიძღვნილი ღონისძიებები.
 - შეხვედრა გემთმფლობელი კომპანიების წარმომადგენლებთან თემაზე „დასაქმება და კარიერა“. დასწრება შეეძლება ნებისმიერ მსურველს.
 - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება
- ✓ 2021 წლის მაისი-სექტემბრის პერიოდში გაიმართება კონფერენცია - პანდემიის ზეგავლენა საზღვაო სანაოსნო დარგების განვითარებასა და მათი სწავლების მეთოდებზე.
- ✓ 2021 წლის ივნისში:
 - გაიმართება ოკეანის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები. სტუდენტებისა და სასწავლებლის პერსონალის ჩართულობით, ტრადიციულად დასუფთავდება სასწავლებლის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებული ზღვის სანაპირო ზოლი და ბუსსს ანრის პერსონალისა და სტუდენტების მიერ გაშენებული მეზღვაურთა ხეივანი.
 - მეზღვაურთა საერთაშორისო დღესადმი მიძღვნილი ღონისძიებები.
 - ბუსსს ანრის პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის და სხვა დაინტერესებული პირთათვის გაიმართება კინო-რეჟისორი პაატა ტაბაღუას საჯარო ლექცია - „საქართველო - საზღვაო ქვეყანა“



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით
დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები

Planned and implemented activities to promote social development

- ✓ 2021 წლის აგვისტოში ბუსსს ანრის პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის და სხვა დაინტერესებული პირთათვის გაიმართება საჯარო ლექცია თემით: ტოლერანტობა და მისი მნიშვნელობა შეხვედრას გაუძღვება აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი, სამართლის დოქტორი ლაშა ხოზრევანიძე.
- ✓ 2021 წლის ოქტომბერში:
 - გაიმართება საზეიმო ფიცის მიღება ცერემონიალი პირველ კურსელთათვის. ამასთან დაკავშირებით დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიება, რომელშიც ჩართული იქნება სასწავლებლის სტუდენტები და პერსონალი.
 - შპს ბუსსს ანრიში შედგება ანრის ლექტორებს, სტუდენტებსა და თანამშრომლებთან შორეული ნაოსნობის კაპიტან (IMOამბასადორი საქართველოში) ნუგზარ ბოლქვაძესთან შეხვედრა, ღონისძიება ჩატარდება სასწავლებლის საკონფერენციო დარბაზში. შეხვედრის თემა მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანია - „პრაქტიკა შორეულ ნაოსნობაში“. დასწრება თავისუფალია.
 - ბუსსს ანრის სტუდენტური სპორტული კლუბის მიერ ორგანიზებული სეზონური სპორტული შეჯიბრებები. ღონისძიება მიზნად ისახავს საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.
- ✓ 2021 წლის დეკემბერში:
 - ბუსსს ანრის პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის და სხვა დაინტერესებულ პირთათვის გაიმართება ფილოსოფოს ანდრო დგებუაძის ონლაინ საჯარო ლექცია - „თვითმოტივაცია“.
 - ბუსსს ანრის ორგანიზებით სასწავლებლის პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით საახალწლო განწყობის შესაქმნელად გაიმართება წამახალისებელი ღონისძიებები სიმბოლური საჩუქრებით, ასევე საქველმოქმედო ღონისძიებები დაგეგმილია მოხუცთა თავშესაფარში სტუმრობა.